თ ა ნ ხ მ ო ბ ა

მე ლევან ჟვანია ბრძანება №2787953-ით შეთანხმებული მრავალ ბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის ავტორი, თანახმა ვარ ზემოთ აღნიშნულ პროექტის ქ.თბილისი მიკრო/რაიონი I და ფარნავაზ მეფის გამზირს შორის, (ნაკვეთი 09/033) საკ № 01.10.06.009.045 ფართობი 2270 კვ.მ. დამკვეთი შ.პ.ს "პროდიუს ინვესტ ს/ნ (417882946)

შემდეგში არქიტექტორმა (ლევან კვეტენაძე პ/ნ 01003018678) განახორციელოს პროექტის ცვლილება თავისი შეხედულებისამებრ, რაზეც პრეტენზია არ გამაჩნია და ვაწერ ხელს.

ლევან ჟვანია :

შპს "Cube-X" LTD

Cube-X

400024184

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№3-19/017135 1274-17

"27" 06 2017 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, სექტორი–საბურთალო, დიდი დიღომი, მიკრო/რაიონი I და ფარნავაზ მეფის გამზირს შორის (საკ. კოდი №01.10.06.009.045) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსი) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – №27879 53 19.08.2016წ.

სამსახურის სპეციალისტების მიერ სექტორი–საბურთალო, დიდი დიღომი, მიკრო/რაიონი I და ფარნავაზ მეფის გამზირს შორის მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

ნაწილობრივ შეცვლილია ვიტრაჟების, ფანჯრების და მოაჯირების ნახატები. ნაწილობრივ შეცვლილია აივნების გაბარიტები. ფასადებზე დამატებით მოწყობილია გამწოვი მილები. ნაწილობრივ შემცირებულია აივანზე გამავალი კარი-ვიტრაჟების სიმაღლე. ასევე ნაწილობრივ შეცვლილია ფასადების ღებვის ფერი. +20.600 ნიშნულის ზევით ფასადებზე "5" და "8" ღერძებზე მდებარე კედლებზე ფიქსირდება რიგელების კონტურები. აღნიშნულ კედლებზე მდებარე ვიტრაჟების სიმაღლე შემცირებულია, ხოლო მათ ნაწილზე დამატებულია ლითონის ცხაურები.

კოლონებს მონაცვლებული აქვთ ადგილი. "ბ-ე" ღერძებს შორის მანძილი გაზრდილია, რის ხარჯზეც გაზრდილია შენობის მიწის ზედა ნაწილის გაბარიტი. დამატებით მოწყობილია რიგელები. საპროექტო რიგელებს ნაწილობრივ მონაცვლებული აქვთ ადგილი და ნაწილი გაუქმებულია. შიდა კიბის უჯრედებში კიბის საფეხურების რაოდენობა არ ემთხვევა პროექტით გათვალისწინებულს. გაზრდილია ლიფტის შახტების გაბარიტები. +5.100 ნიშნულიდან +26.800 ნიშნულის ჩათვლით "გ" ღერძის გარეთ შენობის კონსოლით გადმოსული ნაწილის სიგრძე გაზრდილია.

ტერიტორიაზე გამწვანების ნაწილი გაუქმებულია. "ზ-1" ღერძების კვეთასთან დამატებით მოწყობილია მცირე ზომის კაპიტალური სათავსო.

-3.100 ნიშნული: გაზრდილია სართულის სიმაღლე. პერიმეტრზე შემცირებულია კოლონების კვეთი და მონოლითური კედლის სისქე. შეცვლილია შიდა კიბის უჯრედების ფორმები და დამატებით მოწყობილია კიბის საფეხურები. კიბის უჯრედების პერიმეტრებზე ნაწილობრივ გაუქმებულია მონოლითური კედლები. "დ" ღერძზე "5" და "8" ღერძებთან მდებარე კარის ღიობები გაუქმებულია. შემცირებულია კიბის მარშებს შორის დაშორება, ხოლო ლიფტის შახტების გაბარიტები გაზრდილია.

"ა" ღერძზე "6-7" მონაკვეთში გაერთიანებულია ორი კოლონა, ხოლო მის მიმდებარედ პილონს მონაცვლებული აქვს ადგილი. გაზრდილია სამანქანო პანდუსების გაბარიტები.

±0.00 ნიშნული: "2-3" მონაკვეთში მდებარე აუზის გაბარიტი შემცირებულია. "3" ღერძზე "დ-გ" მონაკვეთში, ასევე "გ" ღერძზე "3-4" მონაკვეთში დამატებულია პილონები. "5-11" მონაკვეთში დამატებით მოწყობილია ანტრესოლები. "8-9" მონაკვეთში გაზრდილია სადარბაზოს სიგანე. "ე-დ" მონაკვეთში შიდა კიბის უჯრედში გაზრდილია კიბის საფეხურების რაოდენობა. აღნიშნული კიბის უჯრედებიდან გარეთ დამომავალი კარების გაბარიტები გაზრდილია.

+20.600 ნიშნული: "5-8" მონაკვეთში "ბ" ღერძის გარეთ შეცვლილია რეტასის ფილის ფორმა. ტერასაზე დამატებით მოწყობილია საცხოვრებელი და დამხმარე ფართები. ასევე დამატებულია გამათბობლისთვის განკუთვნილი კარადა. დამატებულია ასევე ორი ბუხრის მილი. ტერასაზე საპროექტო ლითონის პერგოლის ნაწილი გაუქმებულია, და მის ნაცვლად მოწყობილია ბეტონის ფილა.

+29.900 ნიშნული: "3" ღერძზე "დ-გ" მონაკვეთში მდებარე მონოლითურ კედელში დამატებით მოწყობილია ღიობი.

-6.100 ნიშნული: "3-4" მონაკვეთში გაუქმებულია კიბე. "3" ღერძის გარეთ გაზრდილია შიდა ფართი და შემცირებულია ტერასის ფართი. ტერასაზე დამატებულია საკომუნიკაციო შახტა.

+39.400 ნიშნული: "3" ღერძის გარეთ დამატებულია ორი კოლონა, შემცირებულია შიდა ფართი, ხოლო "გ-დ" მონაკვეთში მდებარე ტერასის გაბარიტი გაზრდილია. "3-4" მონაკვეთში გაუქმებულია კიბე. "8-10" მონაკვეთში "ბ" ღერძის გარეთ მდებარე აივნის ფორმა შეცვლილია და გაზრდილია აივნის ფართი.

+42.700 ნიშნული: "3-5" მონაკვეთში გაუქმებულია შიდა ფართი. შეცვლილია კიბის უჯრედის კედლების ფორმა და მასზე დამატებულია წყალსაწრეტი მილები. გაზრდილია ლიფტის სამანქანოს სიმაღლე. დამატებულია საკომუნიკაციო შახტა "4-5" მონაკვეთში. "დ-5" ღერძების კვეთაზე მდებარე პილონის ნაცვლად მოწყობილია კოლონა. "9-10" მონაკვეთში გაუქმებულია კიბე. "10-11" მონაკვეთში დამატებით მოწყობილია სამი კოლონა. "10-12" მონაკვეთში ტერასაზე დამატებულია კაპიტალური ტიხარი, საკომუნიკაციო შახტა, გამათბობლის კარადა და მცირე ზომის კაპიტალური სათავსო.

+46.000 ნიშნული: "9-10" მონაკვეთში გაუქმებულია კიბე. "10-11" მონაკვეთში დამატებულია სამი კოლონა. "9" ღერძზე "გ-ბ" მონაკვეთში დამატებულია ვიტრაჟი.

+49.300 ნიშნული: გაზრდილია ლიფტის სამანქანოს სიმაღლე. "დ-8" ღერძების კვეთაზე მდებარე პილონის ნაცვლად მოწყობილია კოლონა. ბრტყელი გადახურვის ნაცვლად მოწყობილია ორქანობიანი გადახურვა.

"1-12" ფასადი: "6-7" მონაკვეთში შევსებულია შოვი. "6" და "7" ღერძებზე აივნებზე ნაწილობრივ გაუქმებულია კაპიტალური კედლები. "2" და "11" ღერძების გარეთ ფასადზე ფიქსირდება კოლონები და რიგელები. +0.00 ნიშნულზე ფასადი დამატებით მოპირკეთებულია დეკორატიული ქვით. შეცვლილია სადარბაზოებში შესასვლელი კარების ნახატები, ხოლო მათ ძირებზე დამატებით მოწყობილია თითო საფეხური. "5-6" მონაკვეთში ვიტრაჟს მონაცვლებული აქვს ადგილი. +5.100 ნიშნულზე "4" და "9" ღერძებზე კონსოლით გადმოსული ნაწილის ძირზე ფიქსირდება რიგელები. რიგელებია ასევე მოწყობილი +20.600 ნიშნულზე "3" და "10" ღერძებთან მდებარე აივნების ძირებზე. "3" ღერძის მარჯვნივ და "10" ღერძის მარცხნივ +20.600 ნიშნულიდან +26.800 ნიშნულის ჩათვლით მდებარე ვიტრაჟების სიგანე გაზრდილია. "9-10" და "3-4" მონაკვეთებში +29.900 ნიშნულზე, ასევე "10" ღერძთან +42.700 ნიშნულზე დამატებულია კაპიტალური ტიხრები. +33.00 ნიშნულზე და ზევით "3" ღერძის მარჯვნივ და "10" ღერძის მარცხნივ მდებარე ფრანგულ აივნებზე მინის მოაჯირის ნაცვლად მოწყობილია ლითონის მოაჯირები. "7" ღერძთან +8.200 ნიშნულზე დამატებულია გამათბობლისთვის განკუთვნილი კარადა, ხოლო +5.100 ნიშნულზე "3-4" მონაკვეთში სატელიტური ანტენა. "10-11" მონაკვეთში +42.700 და +46.000 ნიშნულებზე გაზრდილია ფანჯრების გაბარიტები, ხოლო +46.000 ნიშნულზე "9-10" მონაკვეთში შეცვლილია ვიტრაჟების გაბარიტები. "9-10" მონაკვეთში +49.300 ნიშნულზე შეცვლილია კაპიტალური მოაჯირის ფორმა.

"12-1" ფასადი: "11-10" და "3-2" მონაკვეთებში ღიობების ადგილმდებარეობა არ შეესაბამება საპროექტოს. "11" და "2" ღერძების დარეთ მდებარე ვიტრაჟების სიმაღლე შემცირებულია. +0.00 ნიშნულზე დამატებულია კონდიციონერები და საკომუნიკაციო მილები. "11-9" მონაკვეთში შემცირებულია ვიტრაჟების გაბარიტი. "9-7" მონაკვეთში კიბის საფეხურების ნაცვლად მოწობილია პანდუსი, "6-2" მონაკვეთში შემცირებულია საპროექტო პანდუსის სიგრძე. აღნიშნული ბაქნის ქვეშით სივცე შევსებულია და მოწყობილია კაპიტლური კედელი ღიობებით, ხოლო ბაქანზე და პანდუსებზე დამატებულია ლითონის მოაჯირი. "9-8" და "5-4" მონაკვეთებში +0.00 ნიშნულზე გაუქმებულია ვიტრაჟები, ხოლო მათ ზევით ვიტრაჟების სიმაღლეები შემცირებულია. "9" და "4" ღერძებთან +5.100 ნიშნულის ზევით მდებარე აივნებზე გაზრდილია კაპიტალური კედლების სიგანე. "7" და "6" ღერძებთან მდებარე ვიტრაჟებში დამატებით მოწყობილია შუაკედლისები. "11" და "2" ღერძებთან დამატებულია სვეტები. "11-12" მონაკვეთში +42.700 ნიშნულზე გაუქმებულია ვიტრაჟი, ხოლო მის ზედა სართულზე მდებარე ვიტრაჟის გაბარიტი შემცირებულია. +46.000 ნიშნულზე აივანზე მინის მოაჯირის ნაცვლად მოწყობილია კაპიტალური მოაჯირი.

"ა-ზ" ფასადი: +0.00 ნიშნულზე მდებარე ვიტრაჟებს მონაცვლებული აქვთ ადგილები. "ა-დ" მონაკვეთში მდებარე დაბალი კედლის სიმაღლე გაზრდილია. +5.100 ნიშნულზე "გ-დ" მონაკვეთში კონსოლით გადმოსული ნაწილის ძირზე ფიქსირდება რიგელი. ამავე ნიშნულის ქვეშით დამატებულია საკომუნიკაციო მილი. "გ" ღერძის გასწვრივ აივნებზე +39.400 ნიშნულის ჩათვლით დამატებულია კაპიტალური კედლები. "დ-ე" მონაკვეთში +42.700 ნიშნულზე დამატებით მოწყობილია ვიტრაჟი და კარი.

"ზ-ა" ფასადი: +0.00 ნიშნულზე "დ-ა" მონაკვეთში მდებარე კაპიტალური საყვავილის კედელი ნაცვლად ლესვისა და ღებვისა მოწყობილია საფასადე ბლოკით. +5.100 ნიშნულიდან +33.00 ნიშნულის ჩათვლით "გ" ღერძთან ავინებზე დამატებით

წყობილია კაპიტალური კედლები. +5.100 ნიშნულზე "დ-გ" მონაკვეთში კონსოლით გადმოსული ნაწილის ძირზე ფიქსირდება რიგელი. "გ-ბ" მონაკვეთში +8.200 ნიშნულზე დამატებულია სატელიტური ანტენა.

ზ.ა.კ. VI-ე თავის, 83-ე, მუხლის ა.ს.კ. მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 24.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის, 97-ე მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მე-5 პუნქტის "გ" ქვეპუნქტის, 99-ე მუხლის 1-ლი პუნქტის და საქართველოს მთავრობის 11.08.2005წ. №140-ე დადგენილების, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „კ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შპს „პროდიუს ინვესტ"-ს, ქ. თბილისში, სექტორი–საბურთალო, დიდი დიღომი, მიკრო/რაიონი I და ფარნავაზ მეფის გამზირს შორის (საკ. კოდი №01.10.06.009.045) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსი) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.

2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №19/01171351274-17 15.05.2017წ. განცხადება.

სამსახურის უფროსის მოადგილე გიორგი გეჯაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

2632091
12/14328834-25
26.11.2014

ლევან ჟვანია (01007009586),
ჰავჰავაძის გამზ. #49ა

თქვენი 24.11.2014 წლის (#12/14328834–25) წერილის პასუხად, სადაც ითხოვთ ფარნავაზ მეფის გამზირის მიმდებარედ (საკ/კოდ 01.10.06.009.045 და 01.10.06.009.044) ხეების მოჭრას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახური გაცნობებთ, რომ 2013 წლის 3 ოქტომბრის #1278 დადგენილების 26–ე მუხლის საფუძველზე კერძო საკუთრებაში ხილ–კენკროვანი მცენარეების მოჭრა ნებართვას არ საჭიროებს.

პატივისცემით,
თბილისის მუნიციპალიტეტის მერია / ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახური
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საქალაქო სამსახურის უფროსი

ბიძინა გიორგობიანი

№ 12522/09 D 24.12.14

ბატ. შპს „ბორჯომის წყლის ცენტრი"

ბის. დიდი დილომი, ფარნავაზ მეფის

გამზირის მიმდებარედ

საკ. ტელ. 599-30-39-12

შპს „ბორჯომის ცენტრი ერთ ერთში" განთავსებული ობიექტი გარემოსდაცვითი ნებართვა №0395.04 11.11.14წ. დიდ დილომში ფარნავაზ მეფის გამზირის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთზე მიწისქვეშა კომუნიკაციების ამოღებასთან დაკავშირებით.

გაცნობებთ, რომ ზემოთ აღნიშნულ მისამართზე დაგეგმილია დიდ დილომში ფარნავაზ მეფის გამზირის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის სიახლოვეს გაყვანილი კომპანიის კუთვნილი ოთხი ჭაბურღილი, მათგან ერთ-ერთის, თანდართული ფოტოსურათის მიხედვით ნაკვეთიდან 8-10 მეტრის დაშორებით გაყვანილია d=900მმ-ის 2 ჭაბურღილი.

ასევე გაცნობებთ, რომ თანახმად სამშენებლო ნორმებისა და წესებისა СНИП 2.04.02-84 სასმელ-სანიტარიული წყალსადენის ხაზებში აღნიშნული ჭაბურღილებიდან მეზობელ ნაგებობამდე დაშორება ქსელიდან არანაკლებ 10 მეტრით ორივე მხრიდან. ასევე დაუშვებელია ქსელის სასმელ-სანიტარიული ზონის შეღობვა და მრავალწლიანი ნარგავების გაშენება, ვინაიდან ქსელი არის ხანგამძლეები და სასმელ-სანიტარიული ზონა ითვლება გაზრდილი რისკის ზონად. ქსელის დაზიანების შემთხვევაში სასმელ-სანიტარიულ ზონაში არსებული მრავალი ნაგებობების შესაძლებელია მიადგეს ზიანი, რაზედაც კომპანია იხსნის ყოველგვარ პასუხისმგებლობას.

გთხოვთ გაითვალისწინოთ ზემოხსენებული და არ დაიკვეთოთ სასმელ-სანიტარიული ზონა.

იმედი გვქონდეს

წარმატების დირექტორი

მეჯლის. ი.გამეტაძეული



ელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო http://kancelaria.cloud.gov.ge/nomfileserver/GetFile?file

KA021745677177515

სახელმწიფო ქონების
ეროვნული სააგენტო

NATIONAL AGENCY
OF STATE PROPERTY

თბილისი 0108, გ.ჭანტურიას ქ.12

12 G.Chanturia Str.,0108 Tbilisi,Georgia

N5/13059

10 / მარტი / 2015 წ.

მოქ. დავით ხიზანიშვილს
მის. ქ. თბილისი, უზნაძის ქ. N91ა

სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ" განიხილა თქვენი 14.01.2015წ. N2097/ფ, 23.01.2015წ. N4575/ფ და 03.02.2015წ. N7571/ფ განცხადებები, ქ. თბილისში, დიდ დიღომში, I მ/რ-სა და ფარნავაზ მეფის გამზირს შორის მდებარე მოქ. მოჰამმად შამსზადეს საკუთრებაში არსებულ 1500.0 კვ.მ (ს/კ N01.10.06.009.044) და შპს „პროდიუს ინვესტის" საკუთრებაში არსებულ 2270.0 კვ.მ (ს/კ N01.10.06.009.045) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობასთან დაკავშირებით თანხმობის გაცემის თაობაზე, ვინაიდან ხსენებულ მიწის ნაკვეთებზე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოში სახელმწიფო საკუთრებაში რეგისტრირებულია 522476.0 გრძ.მ კანალიზაციის მილის ხაზოვანი ნაგებობა (ს/კ N01.01.755).

გაცნობებთ, რომ შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის" 12.02.2015წ. N1200/09 წერილით წარმოდგენილი პოზიციის გათვალისწინებით, სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო" არ არის წინააღმდეგი ქ. თბილისში, დიდ დიღომში, I მ/რ-სა და ფარნავაზ მეფის გამზირს შორის მდებარე მოქ. მოჰამმად შამსზადეს საკუთრებაში არსებულ 1500.0 კვ.მ (ს/კ N01.10.06.009.044) და შპს „პროდიუს ინვესტის" საკუთრებაში არსებულ 2270.0 კვ.მ (ს/კ N01.10.06.009.045) არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე განხორციელდეს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, ქ. თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურის მიერ დამტკიცებული პროექტის შესაბამისად, ამასთან აღნიშნული ქმედებით სახელმწიფოს არ უნდა წარმოეშვას რაიმე სახის ვალდებულება.

წერილთან ერთად გიგზავნით შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის" 12.02.2015წ. N1200/09 წერილს.

დანართი: 1 ფურცელი.

სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს
თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ეკატერინე სისაური

№ 1200/09 D 12.02.15

სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს
კერძო სექტორთან ურთიერთობის სამსახურის უფროსს
ქალბატონ ლია ხუციშვილს,
გ.ჭანტურიას ქუჩა N12

ქალბატონო ლია,

გთხოვთ, თქვენს 04.02.15 წ. N5/5859 წერილზე ჩვენი კომპანიის მიერ 2015 წლის 10 თებერვალს გამოგზავნილი N1157/09 წერილი ჩათვალოთ ძალადაკარგულად.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ როგორც ადგილზე შემოწმებით დადგინდა, თქვენი 04.02.15 წ. N5/5859 წერილში აღნიშნულ ნაკვეთებზე საკადასტრო კოდით N01.10.06.009.045 და N01.10.06.009.044 კომპანია "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის" ბალანსზე რიცხული წყალსადენ-კანალიზაციის ქსელები არ გაედინება.

ასევე გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ წერილში მითითებული 522476 გრძივი მეტრი საკანალიზაციო მილი (ს/კ N01.01.755) წარმოადგენს კომპანიის ბალანსზე რიცხულ ქონებას და ზემოხსენებულ ნაკვეთებზე, ნაცვლად საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში ნაჩვენები მდებარეობისა, გაედინება ამავე ნაკვეთების მომიჯნავედ ნაკვეთების წითელი ხაზების გარეთ.

პატივისცემით,

ომარ გოცირიძე
ტექნიკური დირექტორის მოადგილე

შემს: [illegible]

[illegible] № 1150/04
16. 02 2015წ.